



საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

თურქულენოვანი ხალხები

თურქულენოვანი ხალხები, თურქულ ენებზე მოლაპარაკე ხალხები. თ. ხ. ცხოვრობენ 12 მლნ. კვ. კმ-ზე ჩრდილო ცინულოვანი ოკეანიდან ინდოეთამდე და ატლანტის ოკეანის სანაპიროდან ჩინეთის დიდ კედლამდე, კერძოდ კი შუა აზიაში (უზბეკები, ყაზახები, თურქმენები, ყირგიზები), სამხრ.-აღმ. აზიასა და ციმბირში (ალთაელები, იაკუტები, შორები, ხაკასები, დოლგანები, თუვეები), ვოლგა-კამის აუზში (ბაშკირები, ჩუვაშები), ჩრდ. კავკასიაში (ბალყარები, ყარაჩაელები, ყუმუხები, ნოღაელები), ირანში (აზერბაიჯანელები, ავშარები, ყაჯარები, ყაშყაელები, ჰალაჯები), ამიერკავკასიაში (აზერბაიჯანელები, ყარაყაღაზები, ურუმები), შავი ზღვისა (ყირიმის თათრები) და კასპიის ზღვისპირეთში (ყარაყაღაზები), მცირე აზიაში (თურქები). თურქული წარმომავლობის მცირერიცხოვანი ერები მოსახლეობენ უკრაინაში (თათრები, ყარაიმები), ლიტვაში (თათრები, ყარაიმები), პოლონეთში (ყარაიმები), მოლდავეთში (გაგაუზები), მაკედონიაში, ბულგარეთსა და რუმინეთში (თურქები), ჩინეთში (სალარები და ე. წ. ყვითელი უიღურები), მონღოლეთში (უიღურები), ავღანეთში (თურქმენები). ცალკეული თურქული ერის ფორმირებას უძღოდა მრავალრიცხოვანი მიგრაციები. ცენტრ. აზიიდან V-VI სს-ში შუა აზიისკენ დაიძრნენ ოღუზები. X-XII სს-ში ძველ უიღურთა და ოღუზთა მიგრაციის დიაპაზონი გაფართოვდა აღმ. თურქმენეთისა და მცირე აზიისკენ. ამავდროულად თუვეების წინაპართა კონსოლიდაცია ხდებოდა ხაკასებსა და ალთაელებთან. მეორე ათასწლეულის დასაწყისშივე ენისეის ნაპირებიდან ყირგიზი ტომები გადმოსახლდნენ დღევანდელი ყირგიზეთის ტერიტორიაზე. XV ს-ში გაერთიანდნენ ყაზახთა ტომები.

ქართველებთან თურქული მოდგმის ხალხებს ურთიერთობა V ს-იდან უნდა ჰქონდეთ. თურქული მოდგმა პირველად იხსენიება იაკობ ხუცესის „შუშანიკის წამებაში“: ვარსქენი მიდის „ჰონთა ზედა საბრძოლველად“. ცნობილია, რომ ვახტანგ გორგასალი ცდილობდა სპარსელების წინააღმდეგ ბრძოლაში გამოეყენებინა ჩრდ. კავკასიაში მომთაბარე

თურქული წარმომავლობის ჰუნთა ურდოები. ადრეულ საუკუნეებში ხაზართა და ქართველთა მჭიდრო ურთიერთობაზე მეტყველებს ცნობა „ქართლის ცხოვრებიდან“, რომ ხაზარული იყო ერთი იმ ექვს ენათაგანი, რ-იც „იზრახებოდა ქართლსა შინა“. ცნობილია საქართველოს სამეფოს ურთიერთობა ანატოლიაში ჩამოყალიბებულ სელჩუკთა პირველ თურქულ სახელმწიფოსთან. თურქ-სელჩუკთა მმართველი თურულ-ბეგი ლიპარიტ ბაღვაშთან ურთიერთობდა, ხოლო ალფ-არსლანმა ბაგრატის მეფობისას რამდენჯერმე დალაშქრა საქართველო. დავით აღმაშენებლის მიერ 1118 წ. ჩამოსახლებული „ყვიჩაღთა უმრავლესნი ქრისტიანე იქმნებოდეს“. თამარის ისტორიკოსის თხზულებაში „ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი“ ქართლში მცხოვრებ ყვიჩაღთა ცოცხალი მეტყველების მაგალითებიც კია ფიქსირებული. მემათიანის ცნობით, „დიდი თურქობის“ დროს გეგონებოდა, რომ „ყოველი თურქობა ყოვლისა ქვეყნისა“ ქართლში იყო ჩამოსახლებული. ობიექტური ისტ. პირობების გამო თურქ-სელჩუკთა სამხედრო აქტივობა იზღუდება, ხოლო ფეოდალური საქართველო პოლიტიკურ-ეკონომიკურ აღმავლობას განიცდის. მთელი რიგი ომების შემდეგ საქართველოზე დამოკიდებული აღმოჩნდნენ თურქული სასულთნოები არა მხოლოდ აღმ. ამიერკავკასიაში, არამედ, ირანის აზერბაიჯანშიც; მათ წარმომადგენლებს იღებდნენ ქართველთა სამეფო კარზე „პატივითა“ და „ბარით“, იყო ხმა „მგოსანთა და მოშაირეთა“, „ენყობოდა დარბაზობა“, „ნადირობა და ბურთაობა“. წყაროების ანალიზიდან გამომდინარე, ურთიერთობა ძველ თურქულენოვან სამყაროსთან მხოლოდ ომებით არ განისაზღვრებოდა და კულტ.-ეკონ. სფეროსაც მოიცავდა. თავიანთი კვალი, რა თქმა უნდა, მონღოლებმაც დატოვეს. მათი შემოსევების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი შედეგთაგანი იყო სწორედ თურქული ელემენტების გაზრდა-გაძლიერება ახლო აღმოსავლეთში.

საქართველოში, კერძოდ, ქვემო ქართლში XV ს-იდან იწყება იმ მომთაბარე თურქმენული ტომების, ელების (თურქ. el-ტომი, ხალხი) ჩამოსახლება, რ-თა შთამომავლებიც არიან დღევანდელი ყარაფაფახ-თარაქამები, ანუ დღეს საქართველოში მცხოვრებ აზერბაიჯანელთა დიდი უმრავლესობა. თურქმენული ტომების საქართველოში ჩამოსახლება და დამკვიდრება მე-17 ს-მდე ფრაგმენტულ ხასიათს ატარებდა, მე-17 ს-იდან კი სეფიანთა დინასტიის შაჰების მიზანმიმართულ პოლიტიკად იქცა. შაჰ აბას I-მა მრავალრიცხოვან მასებად ჩაასახლა ელის ხალხი კახეთში. ქართლის ტერიტორიაზე XV-XVIII სს-ში არსებობდა ელების რამდენიმე სახანო და სასულთნო – შამშადილოს, ყაზახის და ბორჩალოს; შემდგომში ეს სახანოები გაერთიანდა ყაზახ-შამშადილოს სახანოდ. მე-18 ს-ში ელის მოსახლეობა ადგილობრივ ფეოდალურ ურთიერთობათა გარემოცვაში მოექცა, შემუშავდა „ელის დებულება“, რ-იც შევიდა დასტურლამალში. ქვემო ქართლის მოსახლეობისაგან დაცლილ, გაუკაცრიელებულ მიწებზე ერეკლე II-მ ჩაასახლა სპარსელებისგან შევიწროებული 250 თურქმენული ოჯახი. ადრიანოპოლის ბავის თანახმად, რუსეთის იმპერიის გენერლის პასკევიჩის მიერ აღძრული შუამდგომლობის საფუძველზე, ნიკოლოზ I-მა აღმ. ანატოლიის ვილაიეთებში მცხოვრებ თურქულენოვან ბერძნებს – ურუმებს – 1830 წლისათვის წალკის მიდამოებში დასახლების უფლება მისცა. საქართველოში თურქულენოვანი ხალხები ამ ორი ერთეულითაა წარმოდგენილი.

ლიტ.: ა ლ ა ს ა ნ ი ა გ., ქართველები და ისლამამდელი თურქები, თბ., 2008; ს ვ ა ნ ი ძ ე მ., თურქეთის ისტორია, თბ., 2007; შ ე ნ გ ე ლ ი ა ნ., მცირეაზიელი სელჩუკები და საქართველო (XI საუკუნის ბოლო მეოთხედი - XIII საუკუნე), თბ., 2003; К о р е л о в И. А., Иноязычные греки (урумы) на территории Грузии (историко-этнографический очерк), «Известия АН Грузинской республики (Моамбе)» 1989, №2.

მ. ჯიქია
